ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ **კახა კალაძეს**

ასლი: ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ **თეიმურაზ ბოლოთაშვილს**

ასლი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

უფროსს ბატონ **გიორგი ბაგრატიონს**

ბატონო კახა,

როგორც თქვენთვის ცნობილია ქ.თბილისში ვაჟა-ფშაველას 76-ს, ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 039/032), მიწის საკადასტრო კოდ 01.14.03.039.055 (048)-ზე, ე.ს.ა.,,ვაჟა-ფშაველა 2007“-ის თავმჯდომარე, დავით მახარაშვილ უკანონოდ მოპოვებული დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემული გრძანების საფუძველზე აწარმოებს III კატეგორიის მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას,რაზეც მიმდინარეობს შესაბამისი გამოძიება. სისხლის სამართლის საქმე №007250915004-ზე.

შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გაცნობებთ რომ მშენებლობის მიმდებარე ტერიტორია მშენებლების მიერ არის დანაგვიანებული სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ტერიტორიაზე მიმოფანტულია გარდაცვლილი კატისა და ძაღლის ნეშთები, ფრაქციული ღორღი, სამშენებლო ბლოკის ნაშალი, ქვიშა ხრეშოვანი ნარევი, სამშენებლო ბლოკის პადონის სალტეები, საყალიბე მასალა, მისი ნარჩენები და და საკვები პროდუქტები, ხოლო საფეხმავლო კიბის უჯრედის უხარისხო და არასათანადო გადახურვის გამო მაკავშირებელ ღიობებში კვლავ ცვივა სამშენებლო მასალები, ნაგვიანდება კიბის საფეხურები და არასათანადოდ მოწყობილი განათების გამო გაუვალია იგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახეზეა, სახელმწიფოსა და ჩვენზე მოყენებული პირდაპირი, უშუალო და ერთმნიშვნელოვნათ მძიმე ზიანი და დაკანონებული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობა. შესაბამისად დანაშაულებრივი ქმედებით, ჩვენ მოგვადგა უმნიშვნელოვანესი ზიანი, ჩვენი კორპუსები პრაქტიკულად არის გაუვალი, განვიცდით მზის სინათლის ნაკლებობას, ანტისანიტარიასა და უჰაერობას, შესაბამისად გთხოვთ, განახორციელოთ კანონშესაბამისი მოქმედებები,მიიღოთ ადეკვატური გადაწვეტილებები და გვაცნობოთ შედეგები.

შესაბამისად გთხოვთ, ადგილზე გასვლით გადაამოწმოთ წინამდებარე წერილში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარობა, გასცეთ შესაბამისი მითითებები, დაიწყეთ ან/და განაახლეთ ადმინისტრაციული საქმეების წარმოება,სამშენებლო სამართალდამრღვევებს დაარიცხოთ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდა, ჩაგვრთეთ მხარედ და გვაცნობეთ შედეგები.

დანრთი #1. სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა, 1 ცალ ,,CD" დისკზე.

პატივისცემით, ზურაბ გეიტრიშვილი

(პ/ნ 01024031682)

,, '' მარტი 2018 წელი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 78 ბინა #14 ს/ტ. 577 575704

ქ.თბილისი დ.თვხელიძის ქ#1ა ბინა #118 ს/ტ. 577 575704


არ გაკრეკ
ეფვიდებარება


UU-777-VV




EMI









